ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/050224/1

ქ. თბილისი **05 თებერვალი, 2024 წ**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **შპს "ზოომარტი"** მისი დირექტორის თორნიკე ელიზბარაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნესტან დარეჯანის N31, ს/კ 404907115, ტელ: +995577500148, ელ-ფოსტა: tornike@zoomart.ge; სს „თი ბი სი ბანკი“, TBCBGE22, ა/ა NGE10TB7718036080100001

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, სამსახურის ბალანსზე არსებული ზრდასრული ძაღლებისათვის დიეტური და სამკურნალო საკვების (CPV15710000 - ცხოველების მზა საკვები შინაური და სხვა ცხოველებისთვის) სახელმწიფო შესყიდვაზე აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (**NAT230027359)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **96`720.00 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1, დანართი №2 (სატენდერო დოკუმეტაციის დანართი №1, დანართი №2) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3.4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართ №1-ში, აგრეთვე დანართ №2-ში (საგარანტიო ვადა და პირობები), რომლებიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.2. საკვები განკუთვნილი უნდა იყოს ზრდასრული საშუალო და დიდი ზომის ჯიშის ძაღლებისათვის; შემოტანის დროს არ უნდა იყოს დარღვეული ტომრების მთლიანობა და საქონლის ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი უნდა იყოს არანაკლებ 8 თვე; აღნიშნული პოზიციით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი რაოდენობა, დამზადებული უნდა იყოს ერთი მწარმოებლის მიერ;

4.საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, ეტაპობრივად, 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ ჯერზე მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, აბზიანიძის N4;

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით

გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.
5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება 2 (ორი) სამუშაო დღე, რათა უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
5.4.მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდების შემდეგ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით
მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართი N1-ით ან/და დანართი N2-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს ან/და შერჩევა-შეფასების ეტაპზე წარმოდგენილ ნიმუშებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**	**„მიმწოდებელი“** **შპს „ზოომარტი“**
---------- **ფინანსური დეპარტამენტის უფროსი**	Tornike Elizbarashvili Digitally signed by Tornike Elizbarashvili
მიხეილ ახვლედიანი	**თორნიკე ელიზბარაშვილი**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2024.02.05 17:42:30 +04'00'	

შ.პ.ს "ზოომარტი" ***23.01.2024***

№	შესყიდვის ობიექტი (დასახელება)	მწარმოებელი / ქვეყანა	ტექნიკური მახასიათებლები		განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა	თანხა ჯამში	მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი
1	ზრდასრული ძაღლის დიეტური საკვები (მგრძნობიარე კუჭ-ნაწლავისთვის)	Affinity Petcare / ესპანეთი	შემცვლელობა / შემადგენლობა	ორაგული, ბრინჯი, სიმინდი, ორაგულის დეჰიდრირებული ცილები, ცხოველური ცხიმები, ჭარხლის რბილობი, ხილის ოლიგოსახარიდი, ჰიპოალერგიული არომატები, მინერალური ნივთიერებები (რკინა, თუთია), ვიტამინები, ნატურალური ანტიოქსიდანტები	**კილოგრამი**	**16.00 ₾**	**4290 კგ**	**68,640.00 ₾**	საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, ეტაპობრივად, 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ ჯერზე მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში; მის: ქ.თბილისი, აბზიანიძის ქ.N4;
			ტენიანობა	8%					
			პროტეინი	26%					
			ცხიმი	17%					
			ნედლი უჯრედანა (ბოჭკოვანა)	2.0%					
			კალციუმი	1.3%					
			ფოსფორი	1.1%					
			ვიტამინი A	27000 IU					
			ვიტამინი D3	1800 IU					
			ვიტამინი E	500 მგ/კგ					
			ომეგა 3	0.7%					
			ომეგა 6	2.3%					
			ბიოტინი	0.3 მგ					
			სოდიუმი	0.2 მგ					
			კალორიულობა	3960 კკალ/კგ					
			საკვების საკლასო კატეგორია	სუპერ პრემიუმი					
			განკუთვნილია	ზრდასრული საშუალო და დიდი ზომის ჯიშის ძაღლებისათვის (მგრძნობიარე კუჭ-ნაწლავისთვის)					
			ტომრის დაფასოება	12 კგ					
			მწარმოებლის ვებსაიტი	www.affinity-petcare.com					
2	ზრდასრული ძაღლის სამკურნალო საკვები (კუჭ-ნაწლავის პრობლემებით)	Affinity Petcare / ესპანეთი	შემცვლელობა / შემადგენლობა	ბრინჯი,სიმინდი,სიმინდის ფქვილი,დეჰიდრირებული შინაური ფრინველის ცილა,თევზის ზეთი,ცხოველური ცხიმი,ქოქოსის ზეთი, ჰიდროლიზებული ცხოველური ცილები.ვიტამინები,მინერალური ნივთიერებები (რკინა, თუთია), ნატურალური ანტიოქსიდანტები	**კილოგრამი**	**18.00 ₾**	**1560 კგ**	**28,080.00 ₾**	
			ტენიანობა	8%					
			პროტეინი	25.5%					
			ცხიმი	12.75%					
			ნედლი უჯრედანა (ბოჭკოვანა)	1.3%					
			კალციუმი	1.1%					
			ფოსფორი	0.9%					
			ვიტამინი A	27000 IU					
			ვიტამინი D3	1200 IU					
			კალორიულობა	3815 კკალ/კგ					
			საკვების საკლასო კატეგორია	სუპერ პრემიუმი					
			განკუთვნილია	ზრდასრული საშუალო და დიდი ზომის ჯიშის ძაღლებისთვის (კუჭ-ნაწლავის პრობლემით)					
			ტომრის დაფასოება	12 კგ					
			მწარმოებლის ვებსაიტი	www.affinity-petcare.com					
								96,720.00 ₾	

შენიშვნა: დანართი #1-ით შემოთავაზებული პროდუქციის შეფუთვაზე გარკვევით მითითებულია მწარმოებული კომპანიის და ქვეყნის დასახელება, ვარგისიანობის და დამზადების თარიღები, ასევე საკვების შემცველობა , კვების ნორმები, ცილების, ცხიმების, მინერალების და ვიტამინების მაჩვენებლები. საკვების მოწოდება მოხდება ქარხნულად შეფუთული დაუზინებელი ტომრებით, რომელზეც მითითებული იქნება წარმოების და გამოყენების ვადები, აღნიშნული პროდუქცია წარმოებული იქნება ერთი მწარმოებლის მიერ.

თორნიკე ელიზბარაშვილი,
დირექტორი
შ.პ.ს "ზოომარტი"

თანხა სიტყვიერად: ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოცი ლარი

დანართი #2

საგარანტიო ვადა და პირობები

23.01.2024

ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია შ.პ.ს "ზოომარტი" იძლევა გარანტიას, რომ ყოველ ჯერზე მოწოდებული საქონელი ტექნიკური მახასიათებლების და ხარისხის თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაში მოვა სატენდერო განცხადების დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებთან და აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ჩატარებულ ტენდერში წარმოდგენილ ნიმუშებთან.

საქონლის მიწოდებისას (საწყობში მიღება) ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი იქნება არანაკლებ 8 თვე. აღნიშნული პოზიციით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი რაოდენობა, დამზადებული იქნება ერთი მწარმოებლის მიერ, ასევე მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), არ იქნება დარღვეული ტომრების მთლიანობა და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. ტომრებზე გარკვევით იქნება მითითებული ფირმის დასახელება და ვის მიერ არის წარმოებული, დამზადების და ვარგისიანობის ვადა.

თორნიკე ელიზბარაშვილი

დირექტორი

შ.პ.ს "ზოომარტი"

საქართველო. შპს ზოომარტი
ZOOMART
404907115
GEORGIA. ZOOMART LTD